ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ამაღლების ჩიხი III, №8



თბილისი
2019, თებერვალი

ამაღლების ჩიხი III, №8-ის (ყოფ. დავითაშვილის აღმართი), სოლოლაკის ზედა უბანში მდებარეობს. ეს მიწის ნაკვეთები უკანასკნელი განაშენიანებული ტერიტორიაა ლანდშაფტური ზონის პირზე, რომელიც კოჯრის გზატკეცილიდან, ვიდრე ყოფილი „კომკავშირის ხეივნის“ მიმართულებით ვითარდება.



სოლოლაკში ურბანული განაშენიანების XIX საუკუნის შუა ხანებიდან განვითრება. მანამდე აქ სანახები და ბაღები იყო გაშენებული, რასაც ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაც ადასტურებს, რომელზეც ამ ადგილებში მეფის, დედოფლის, მამასახლისის, თბილელის ბაღებია აღნიშნული. გადმოცემის თანახმად არაბების ბატონობის ხანაში ბაღების მოსარწყავად აქ აკვედუკი აუშენებიათ. სარწყავ არხს არაბულად „სულუ-ლაჰ“ ქვია. როგორც ჩანს, ამ დასახელებიდან მომდინარეობს მთის (სოლოლაკის ქედი) და მის ძირში გაშლილი ტერიტორიის სახელწოდებაც – სოლოლაკი, ან სალალაკი.

XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში სოლოლაკში ძირითადად ბურჟუაზიული საზოგადოება სახლობდა. ამან განაპირობა უბნის არქიტექტურული სახეც. მისთვის დამახასიათებელია მსხვილმასშტაბიანი, ძირითადად რუსულ-ევროპული სტილის შენობები, რომელთაც ევროპული სტილის „თბილისურად“ გადამუშავებული ნაგბობები და ტიპიურად თბილისური სახლები ენაცვლება.



სოლოლაკის განაშენიანების ხასიათს დიდწილად მისი მთაგორიანი რელიეფი და მრუდხაზოვან ქუჩათა ქსელი განსაზღვრავს. როგორც 1913 წლის რუკაზე ჩანს XX საუკუნის დასაწყისში რეგულარულად დაგეგმარებული ქუჩათა ქსელი სოლოლაკის ქედის ზედა ნაწილში, ამაღლების (დღევანდელი დავითაშვილის ქ.) ქუჩამდე აღწევდა (სურ. 1), ხოლო მისი ზემო ნაწილი რელიეფის დახრილობიდან გამომდინარე კვლავ XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისური განაშენიანებას წარმოადგენს.



ამ ადგილებში დღემდეა შემორჩენილი ტიპიური თბილისური ხის აივნიანი სახლები. ისტორიული ქალაქის განაშენიანება ფაქტობრივად კოჯრის აღმართის დასაწყისში მთავრდებოდა. თუმცა ძველ რუკებზე ჩანს, რომ აქა-იქ უსისტემო, მცირე ზომის ერთსართულიანი ნაგებობები აღმართის ორივე მხარეს არსებობდა.

განსახილველ ტერიტორიის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ძირითადად დავითაშვილის ქუჩის ქვედა მხარეს არის განთავსებული. მთლიანობაში მიკროუბანს შენარჩუნებული აქვს ისტორიული ქალაქისთვის დამახასიათებელი ორ-სამსართულიანი სახლების მასშტაბი, რელიეფზე შეფენილი განაშენიანება, აგურით ნაგები კედლების ფაქტურები და მრავალჯერ სახეცვლილი, მაგრამ უმეტესად მაინც ძველი ნიმუშების მსგავსი ხის შუშაბანდები.





უკანასკნელ პერიოდამდე, ამაღლების ქუჩის ზედა მონაკვეთში ისტორიული განაშენიანებაში ყველაზე მაღალი საბჭოთა პერიოდის ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი – ამაღლების ქ. №35 იყო, თუმცა, ბოლო დროს ამ მონაკვეთში რამდენიმე ოთხ-ხუთ და მეტსართულიანი მშენებლობა დაიგეგმა.





საპროექტო ტრიტორიაზე განაშენიანება XIX ს-ის II ნახევრიდან ვითარდება. აქ ისტორიული სამეფო ბაღების ადგილას კოჯრის გზის გარდიგარდმო დაბალი ინტენსივობის განაშენიანება გაჩნდა. XX ს-ის დასაწყისის ფოტოზე კარგად ჩანს, რომ ძველი ეკლესიის მიმდებარედ განაშენიანება ქაოტურია და კერძო სახლებისაგან შედგება. სწორედ ამ ხასიათის არის ამაღლების ჩიხის განვითარებაც.

საპროექტო ტერიტორიის უკან იდგა 1852წ. პლატონ იოსელიანის თაოსნობით აგებული ამაღლების სახელობის გუმბათიანი ეკლესია. ეს ეკლესია 20-იან წლებში დაანგრიეს ნაწილობრივ და მის ნაცვლად ააგეს ბაზილიკური ტიპის ტაძარი ქართული შუასაუკუნებრივი არქიტექტურის სტილისტიკით.





როგორც აღინიშნა, ამაღლების ქუჩის ზედა ნაწილში, ძველი ეკლესიის მიმდებარედ განაშენიანება დაგეგმილ ხასიათს არ ატარებს. სწორედ ასეთი მონაკვეთი არის ლანდშაფტური ტერიტორიის მიმდებარედ არსებული რელიეფური მიწის ნაკვეთი, რომლის სიღრმეში რამდენიმე ერთ და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობა მდებარეობდა.







დღეის მდგომარეობით ყველა ეს ნაგებობა დემონტაჟს დაექვემდებარა და მეზობელ მიწის ნაკვეთზე მსხვილი მოცულობა გაჩნდა.

საპროექტო ტერიტორიის მარჯვნივ, კოჯრის გზატკეცილი გარს უვლის გამწვანებულ ბორცვს, რომელიც ამაღლების ქუჩიდან ლითონის დაბალი ცხაურიანი ღობით არის შემოფარგლული. ფერდობში შეჭრილ მიწის ნაკვეთზე წყლის აუზი არსებობს, ხოლო მის წინ დაუსრულებელი რკინა-ბეტონის კარკასი, რომელიც დღეის მდგომარეობით ლანდშაფტის ზონაში მოექცა და შეუსაბამო მშენებლობის სტატუსი აქვს მინიჭებული.



დასკვნა-რეკომენდაციები

ამაღლების ჩიხი III, №8 დანგრეული ძველი განაშენიანების – ორსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და მისი მიმდებარე ერთსართულიანი მოცულობების ჩანაცვლება, თანამედროვე არქიტექტურით შესაძლებლად მიმაჩნია,

რადგანაც განაშენიანებას არ გააჩნდა ისტორიული ძეგლის სტატუსი და გამოუსადეგარი იყო საცხოვრებლად. ამასთან, პროექტისათვის გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- პროექტი ძირითადად უნდა დაეყრდნოს ამაღლების ქუჩის ისტორიული განაშენიანების მასშტაბსა და ხასიათს. თუმცა, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამაღლების ქუჩის ზედა მონაკვეთში რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა მიმდინარეობს და შესაბამისად, ქუჩის ტრადიციული მასშტაბი მნიშვნელოვნად გაზრდილია;
- პროექტის ამოსავალი უნდა გახდეს ნაგებობის რთულ ლანდშაფტურ მონაკვეთზე განთავსებისათვის აუცილებელი სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტა;
- მნიშვნელოვანია პროექტში გათვალისწინებული იქნას შორი ხედვითი არეალების არსებობა, რისთვისაც აუცილებელია მისი მორგება საკმარისად არაერთგვაროვან ურბანულ და ლანდშაფტურ ხედზე;
- ნაგებობის არქიტექტურა უნდა გადაწყდეს თანამედროვე ხერხებით. ფსევდოისტორიული მიმართების სტილისტიკის გამოყენება მისაღებად არ მიმაჩნია;
- საშენ მასალად ახალ მოცულობაში სასურველია გამოვიყენოთ მიკროუბნისთვის ტრადიციული აგურისა და ნალესი კედლის ფაქტურები, აგრეთვე შესაძლებელია არქიტექტურულ კომპოზიციაში ბეტონის, ლითონის ან სხვა ერთგვაროვანი, ფონური ხასიათის მასალების ჩართვა;
- პროექტში სასურველია განმეორდეს არსებული მსხვილი და მცირე მოცულობების ურითერთმიმართების პრინციპი, ასევე მათი სახურავების სახასიათო კონფიგურაცია. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოცულობას არ ჰქონდეს ერთიანი, მთლიანი გადაწყვეტა, არამედ შედგებოდეს სხვადასხვა ზომის და მიმართულების ნაწილებისგან;
- შენობის გვერდითი კედლები სავარაუდოდ გადასაწყვეტია აგურში განაშენიანების ტორცოს კედლების ტრადიციული ხასიათის შესანარჩუნებლად;
- ნაგებობების გადახურვა სასურველია უპირატესად დაფერდებული სახურავებით და დაფერილი თუნუქით, რაც არ გამორიცხავს ტერასული გადახურვის ჩართულობასაც საერთო კომპოზიციაში;

- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მეზობლად უკვე არსებობს მსხვილი, თანამედროვე მოცულობა, სასურველია, რომ ახალმშენებლობა ვიზუალურად არ „გადაებას“ ამ ნაგებობას, რისთვისაც აუცილებელია მას ჰქონდეს განსხვავებული ფაქტურა და საფასადე გადაწყვეტა.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი